წიგნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 983 ხუთშაბათი, 3. სექტემბერი 1913 წ. № 983

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი სექტემბრიდან წლის ლამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 3 მან.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

ნესტორ ლაზარეს ძე კალანდაძე და კესარია ლაზარეს ასული მეგრელიშვილისა აცნობებენ ნათესავთა და მეგობრებს გარდაცვალებას ძვირფასი დედის

სურათისას.

დასაფლავება მოხდება დღეს, სამ სექტემბერს, **სოფ. ხიდისთავში,** (გურია). 594

საზაფხულო **ახალი კლუბი** შენობა

სამშაბათს, 3 სექტემბერს,

მე-8 სიმფონიური კრებული

გასტროლი დირიჟორ-ქალის

ევა ბრუნელისა.

დაწვრილებით პროგრამაში.

ბილეთები 2 მანეთიდან ათ შაურამდე, იყიდება თეატრის კასაში. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს: კაცები 50. კ., მანდილოსნები და სტუდენტები 25 კაპ. 1431

ახალი წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

უდიდესი წიგნის მაღაზია

კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიის სურს შეამცვლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

სექტემბრის პირველ რიცხვებიდან

ქართველ ქალთა ამხან. სამკერვალოში

ახლად მოწვეული მკერვალი ქალი, რომელმაც კარგად იცის თავისი ხელობა, **მიიღებს შესაკერად ქალთა და ბავშვთა კაბებს** ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში. **სწავლა ქალთა სახელოსნო სკოლაში** დაიწყება 5 სექტემბერს, გაბაახთ ქუჩა, № 3. 589

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

სწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიქანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რეაქციისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ქ. ტფილისში ვერის საქალაქო პარკთან

ყოველ დღე საღამოს 7—2 ს. ღამისა უკრავს სიმებიანი საკონცერტო ორკესტრი რომის კონსერვატორიის თავისუფალ ხელოვანის **ე. ფაუსტინის** ლოტბარობით. სკრიპკაზე დამკვრელის, სოლისტის **კონევსკის** და ვიოლონჩელზე დამკვრელის **სტეფანჩაკის** მონაწილეობით. 1409

გაიხსნა პირველ-ხარისხოვანი

რესტორანი

მიმოსვლა შეიძლება მიხეილის პრ., კრილოვისა და პასტერის ქ., ოლღას ქუჩის მხრით—ბრევნოვოზნი ქ. ვერის ხიდიდან—სადგური მტკვრის მარჯვენა მხარეზე.

გვაქვს საზღვარ-გარეთის და აქაური სასმელები და ყოველგვარი ცივი სასმელები, სამზარეულო აზიური და ევროპიული. **ფასები ზომიერია.** სამაგალითო გადასახედავი, სალი და გრილი ჰერი.

ტელეფ. № 14—66.

რესტორანის ხელმძღვანელი **ჯინჭარაძე.**

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა



მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 3 სექტემბერს, 1913 წ. გაიმართება

ჯამბაზთა წარმოდგენა

მთელი ტრუპის მონაწილეობით. საღამო დაუსრულებელი სიცილ-ხარხარისა. დღეს მონაწილეობას იღებენ ყველა **ჯამბაზები,** მასხარები, ექსცენტრიკები, ოხუნჯები, სადღეისო ტაკიმასხარები და სხვანი. გვეწვია მეხუთე ჰაერის მეფე, რომელიც **4 ეშმაკთან** ერთად შეასრულებს ძნელ ნომრებს ცირკის თაღში ფრენის დროს სიცოცხლე ბეწვზე იქნება დამოკიდებული. დღესვე გამოვლენ მასხარები და ოხუნჯები და სიცილ-ხარხარის ამტეხნი **ძმ. ვიჩენცოები.** დიდად ნიჭიერი პირუტყვთა გამწვრთნელი **ბ. რობერტსი** თავის მოსაუბრე ვირით და მათემატიკოსი ძაღლით. ცნობილი მუსიკის ექსცენტრიკები **ბ. ბრობარსი** თავისი ახლად ჩამოსული ამხანაგი **ბ. ავგუსტინით.** იტალიელი ჯამბაზი „სიკვდილის ფიცრით“ **ბ. დელა კაზა.** სპორტი ზღვის ეკვილიბრისტთა ელლა და კარპის „სიკვდილის კიბით“. გამოვა მფრინავი ჰაეროპლანით და ტელეგრაფის მავთულებზე მარდად მოსიარულე **ბ. ნიკოლინი.**

დასაწყისი საღამოს 8 ნახევ საათზე.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 585. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლეებისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი ხარჭრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი ეკატერინოსლავის გამოფენაზე 1910 წ.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლთან

არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების ძმართველი

წრის გამგეობა

მოუწოდებს ყველას, ვისაც სცენაზე თამაშობის უნარი აქვს, განაცხადოს თავისი სურვილი და მიიღონ მონაწილეობა წრის 1913—4 წ. სეზონის წარმოდგენებში. ამისათვის **ვთხოვთ მოელაპარაკოთ ნ. ჭანკვეტაძეს წრის ბინაზე** მიხეილის ქუჩა № 102. კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 11—1 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 1449

საბავშვო ბაღი

ანასტასია გედევანიშვილისა

ამით აცხადებს, რომ **ბავშვების ჩაწერა** შეიძლება ყოველ დღე **1 სექტემბრიდან** 10 საათიდან 12 საათამდე საბავშვო ბაღის სადგომში (სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. 1455

ბაქოს ქართული სკოლა

ამით აცხადებს, რომ

თავისუფალი ვაკანსიები არის ყველა ოთხ განყოფილებაში; მსურველთ უნდა მიჰმართონ **სკოლის გამგეს** ქართულ სკოლის შენობაში (ბირჟის ქუჩა, საკუთარი სახლი). **სწავლა უსასყიდლოა.** 1450

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაზაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოსხელიბაძისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. ხელიძიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი ორივესათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოიგებით

ხამლიზ6ა „606“-ით 1035

ელექტრონის და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. ბაქვავანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლდახოვის ქ. № 20. წ. 1023

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ვასწავლი

ქართულ „სიმღერა-გალობას“ და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზე, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით 3—5 საათამდე. ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 ს-მდე. ივპალის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში** და კოლოუბნის ეკლესიაში სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 1448

ექიმი

ი. ზ. ბძელიშვილი

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

საპურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

კბილისა

ექიმი ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მაჩაბლის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

კბილის

ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

ქართული პრესა

ვერაგულად მოკლულის მგოსნის, ილია ჭავჭავაძის პიროვნების გარშემო ატეხილ, შეუფერებელ განგაშის გამო, რომელსაც უშრეტი ენერგიით ასაზრდოებს „დასელთა“ პრესა, გაზეთი „თემი“ ასეთ წინადადებას აძლევს „განთიადის“ რედაქციას:

„ჩვენ შორის ატეხილი დავა და კამათი, აგრეთვე ამ დროს ხმარებული საბრძოლველ საშუალებათა შეფასება განსახილველად და აზრის გამოსათქმელად გადავსცეთ ან სახელმწიფო სათათბიროს მემარცხენე ფრაქციებს ანდა ჟურნ. „რუსკ. ბოგატსტვოს“, „ზავეტის“ და „სოვრემენი მირის“ „სევერნი ზაპისკების“ რედაქციებს. ყველა მასალა, რასაკვირველია, უნდა ახლავე გადავსთარგმნოთ რუსულად და წარვუდგინოთ მათ“.

ცხადია, არ იქნებოდა მნიშვნელობას მოკლებული ისგარემოება, რომ ჩვენებურ „დასელთა“ საბრძოლველი საშუალებანი“ და მათი უებრო ტაქტიკა, იდეურ მოწინააღმდეგეთა მიმართ ნახმარი, რუსის მოწინავე ელემენტებისთვისაც გაგვეცნობებინა, მაგრამ, ჩვენის აზრით, თვით საკამათო საკითხი ამგვარი ღონისძიებით ძლიერ ცოტას მოიგებს. განა რუსეთის მოწინავე საზოგადოება, რაც გინდა მემარცხენე იყოს იგი, შესძლებს იმდენად ჩასწვდეს ჩვენი ცხოვრების იმ უკუღმართ პირობების სიღრმეს, რომელმაც გამოიწვია გაუგონარი ბარბაროსობის ჩადენის შესაძლებლობა და დღევანდელი უგვანი კამპანია წამებული მგოსნის წინააღმდეგ, რომ შეუცდომლად და სრულყოფით დასდოს ძას მსჯავრი? გარდა ამისა: ვგონებთ, არც რუსეთის მემარცხენეებისთვის უნდა იყოს უცხო და უცნობი ჩვენი „დასელების“ ჩრდილოელ თანამოაზრეთა ტაქტიკა და „ბრძოლის საშუალებანი“, რომელსაც იგინი ხმარობენ ხოლმე არა თუ მათს იდეურ მოწინააღმდეგეთა, არამედ თვით თავისიანების წინააღმდეგაც კი. გაიხსენეთ თუგინდ „ლუჩსა“ და „პრავდას“ შორის ატეხილი დავა—კინკლაობა და დაგვეთანხმებით, რომ „თემის“ წინადადება ვერ გადასწყვეტს ჩვენსა და „განთიადელების“ შორის არსებულ უთანხმოებას. დიე, ჩვენი ცხოვრების ისტორიამ და მისმა მიუდგომელმა მკვლევრებმა დასდონ უტყუარი მსჯავრი, თუ რომელი მხარეა ბრალდებისა და ზიზღის ღირსი!

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **მილიონიანი საჩივარი ქალაქის თვითმმართველობის წინააღმდეგ.** განსვენებულმა შიოევის ქალმა ქალაქს 1879 წელს ანდერძით დაუტოვა სახლი, რომელიც ამას წინად ჩამოინგრა და ქარვასლა აბანოებთან. ამ სახლის შემოსავალი ქალაქს უნდა დაეარსებინა ერთი სკოლა, სახელოსნო-სამხატვრო და ან სხვა რამ ტიპისა, რომელსაც თვით ქალაქი დაინახავდა საჭიროდ. შენობებს მაშინ ვალი ჰქონდა. ახლა კი ვალიდან განთავისუფლებულია და შესდგა კიდეც საგანგებო თანხა შიოევის სახელობისა. წლიური შემოსავალი ორივე სახლისა 25,000 მანეთამდეა. ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა შიოევის სახელობის სახელოსნო სკოლის დაარსების თადარიგს. პროექტი უკვე შედგენილია და ახლა კი განსახილველად აქვს ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიას. ამ ჟამად შიოევის მემკვიდრეებმა მოულოდნელად საჩივარი აღძრეს ქალაქის თვითმმართველობის წინააღმდეგ. სასამართლოში შეტანილ საჩივარში, რომლის პირიც გუშინ ქალაქის გამგეობამაც მიიღო, მემკვიდრენი აღნიშნავენ, რომ ქალაქმა განსვენებულის ანდერძი დაარღვია, რადგანაც დღემდე სკოლა არ დააარსა და თხოულობენ შენობების და ფულის უკან დაბრუნებას. ორივე შენობა და შიოევის სახელობის თანხა თავის სარგებლით 1.200.000 მანეთამდე შეადგენს.

✦ **გერმანელი მეურნენი.** პროფესორ ოტო აუხაგენის მეთაურობით 31 აგვისტოს, საღამოს, ბათომიდან ტფილისს ესტუმრნენ. სტუმრებს რკინის გზის სადგურზე დაუხვდნენ: კავკასიის სამოქალაქო უწყების საბეითლო ნაწილის გამგე პ. ი. ზოლოტარევი, სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ს. ნ. ტიმოფეევი, მებამბეობის უფროსი სპეციალისტი ნ. პ. ტარატინოვი, პ. პ. მედვედევი, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანი მ. ა. ვერძიშევი და ადმინისტრაციისა და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი. სტუმარნი შემდეგნი არიან: პროფესორი ოტტო აუხაგენი, მაიორი, გერმანიის იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი, უფროსი კამერგერი ბარონი ფონ-ლეონროდი, საიროხო სოვეტნიკი ა. ვადხაკი, დოქტორი ედუარდ ვოპპელიუსი, კაპიტანი ფილხააკი, გრაფი ფონ-დერ-შულლენბურგი, აგრონომი ფრიც ფონ-შალტეს რეგბერგი, მემამულენი კორნელიუსი, არტუს რიმმერშტამდტი, ოტტო შმიდტი, მ. პოპპე, კურტ ფონ-როორი, ბ. ვენკი, გუსტავ ფელდმანი და ვაქარი ოტტო ფიკლი. სტუმართა დახვედრის წეს-რიგი წინადვე იყო შემუშავებული მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის მთავარ სამმართველოს კავკასიის რწმუნებულის კანცელარიაში. 1 სექტემბერს სტუმრებმა დაათვალიერეს საბოტანიკო ბაღი, კავკასიის სააბრეშუმო სადგური, შინამრეწველობის მუზეუმი და სხვა დაწესებულებანი. გუშინ სტუმრებმა ქალაქის ძველი და ახალი სასალახო დაათვალიერეს.

12 დღით
იაროსლავის მაღაზიაში
პ. ს. დოროყნოვისა
მიხეილის პრ. კირკის გვერდით, ტელეფონი № 838. რადგან ეხლანდელ ბინას ვაფართოებთ, **სამი სექტემბრიდან დანიშნულია**
დიდი იაფ-ფასიანი ვაჭრობა
ყველა განყოფილების საქონლისა აბრეშუმისა და შალის ქსოვილების, მატყლეულობის, დრაფის და ტრიკოსი, პირსახოცისა და სასუფრე თეთრეულისა, ფერადი ბამბის ქსოვილებისა, შეკერილი ტანისამოსი ქალთა და კაცთათვის, წინდები და სხვა და სხვა ნაქსოვი, ფარდები, ხალიჩები, საბნები, ცხვირსახოცები.
ძლიერ ფას დაკლებით
ამასთან ზოგიერთი საქონელი სულ მუქთად-იაფად გაიყიდება. აუარებელი დარჩენილი საქონელი. იაფობის დროს მაღაზია გაიღება დილის 9 საათზე. ნაშუადღევის 2 საათამდე 30 წ. და 4 ს. 6½ ს. საღამოთი
1460.
12 დღით
12 დღით
12 დღით

◆ **საბირჟო ცნობები.** 31 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მ. 80 კ., აძლევდნენ—84 მან. 30 კ., ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—82 მ. 75 კ. აძლევდნენ—82 მან. 35 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ. 50 კ., აძლევდნენ—78 მ. 25 კ. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—488 მ. მეორისა—362 მ. და მესამისა—316 მან. 50 კ.

◆ **მ. ნ. ათაბეგოვი,** ქალაქის გამგეობის წევრი, ტფილისს დაბრუნდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

◆ **ტფ გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილებანი,** რომლითაც გ. დ. ჟურული და მ. ა. ჯაბარი კიევს უნდა გაიგზავნონ ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე დასასწრებლად და რომლითაც საყინულეთა საქმის მოღვაწეთა კრების მომწვევ კომიტეტს სესხად 2,000 მან, უნდა მიეცეს მოსკოვსა და პეტერბურგს სურსათ-სანოვაგის გასაგზავნად.

◆ **გ. ნ. სტეფანოვი** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი, რომელიც დასასვენებლად იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

◆ **ოქმები.** გუშინ. სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურემ ე. ლომიძემ ქალაქის მესამე უბანში 9 მეპურეს შეუდგინა ოქმი, რადგანაც ყველა ხარისხის პური არა ჰონდათ გამომცხვარი.

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულო** ორი დღეა შეუდგა იმ პირთა შემოწმებას, რომელთაც სამხედრო ბეგარა მოხდილი აქვთ და ახლა დაბარებულნი არიან ერთის თვით სავარჯიშოდ.

◆ ქალაქის მდივნობას მ. ა. ჯაბარის ნაცვლად დროებით შეასრულებს ქალაქის საბჭოს კანცელარიის საქმის მწარმოებელი ს. ბ. იუზბაშევი.

სასწავლებლებში

◆ **ქართულ გიმნაზიაში** მათემატიკის მასწავლებლად მიიწვიეს ბ-ნი ვ. აბდუშელიშვილი რომელმაც წელს დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი.

◆ **მეორე საკადეტო კორპუსის** გახსნა საბოლოოდ გადაწყვეტილია. აზრად აქვთ, კორპუსის შენობა ლოტკის-გორაზე აავონ.

ბათომი

◆ მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა 11,234 მან. გადასდო ბათომის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების განკარგულებაში საბოტანიკო ბაღის მოსაწყობად.

◆ ბათომის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, იმ მატარებლი-საყინულეთი, რომელიც სურსათ-სანოვაგეს წაიღებს პეტერბურგსა და მოსკოვში, ყვავილების გაგზავნას აპირობს.

გორი

◆ ამ ბოლო ხანებში **საგრძნობლად აგრილდა.** ხალხი თბილი ტანისამოსით დაიარება.

◆ დიდძალი ბავში მოაწყდა წელს ადგილობრივ სასწავლებლებს, მაგრამ მეტ წილს თვალცრემლიანი მოუხდა უკან გაბრუნება. ეს გარემოება, ვგონებ, უნდა უკარნახებდეს ადგილობრივ წ. კ. საზოგადოებას გახსნას სკოლა, რომ ამით შეძლება მისცეს პაწია ყრმათ სწავლის სურვილი დაიკმაყოფილონ.

◆ წარსულ გაზაფხულზე **ნიაღვრებისა გამო საგრძნობლად დაზარალდა რამდენიმე ღარიბი ოჯახი.** ქალაქის გამგეობამ გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ნება დაერთო შემოწირულების მოკრებისა გორში და მის მაზრაში. გუბერნატორისაგან ნებართვა უკვე მიღებულია. შემდგარია კომიტეტიც, რომელიც ამ მოკლე ხანში შეუდგება შემოწირულების მოგროვებას. იმედია საზოგადოება გულთბილად შეეგება კომიტეტის მოწოდებას და დახმარების ხელს გაუწვდის სტიქიონისაგან დაზარალებულ მოძმეთ.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინ-წინდელ დამატებაში მოთავსებულ კ. აბაშისპირელის პოემაში შემდეგი შეცდომები შეიპარა:

1) მოტო პოემისა: დაბეჭდილია: Das Gvig weibliche zist nns hiodn.

უნდა იყოს: Das Ewig weibliche zieht uns hinan.

2) მე-3 გვერდის პირველ სვეტის მე-11 პწკარში დაბეჭდილია: ქვიშის თოკით ქარს შევკოჭავ. უნდა იყოს: „ქვიშის თოკით ქარს შეკოჭავ“.

იმავე გვერდის მეორე სვეტზე, მე-22 პწკარში **დაბეჭდილია:**

ედავ მაგ ტანს ლაღად ნაკვეთს,
ვით უხდება ძუძუ წყვილი.

უნდა იყოს:

„ჰხედავ მაგ ტანს ლაღად ნაკვეთს
ვით უხდება წელი წვრილი“.

მე-4 გვერდზე მე-30 პწკარში **დაბეჭდილია:**

ვის უნახავს ქალ ეთერა
ზღვის ცელქ ქავლში მობინავე.

უნდა იყოს:

„ვის უნახავს ქალეთერა
ზღვის ცელქ ქავლში მობანავე“.

ტფილისის ტრამვაის მუშათა გაფიცვის გამო

ტრამვაის მუშათა გაფიცვა ისევ გრძელდება. გაფიცვა კვლავ მშვიდობიანად და წესიერების დაურღვევლად მიმდინარეობს.

31 აგვისტოს ტრამვაის დირექტორმა ფ. პ. ტახტაჯიანცმა ბრიუსელიდან დეპეშა მიიღო, საიდანაც სჩანს, რომ უსახელო საზოგადოების მთავარ საბჭოს განუხილავს გაფიცულთა მოთხოვნილებანი და ზოგ მუხლის დაკმაყოფილება შესაძლებლად უცვნია. დეპეშა ასეთია:

„მუშათა მოთხოვნილებანი ყოველწლიურ ხარჯს 225,000 მანეთით ადიდებს, რის ასრულება შეუძლებელია. საზოგადოების საბჭოს სურს დაამტკიცოს თავისი კეთილი სურვილი და მიუხედავად იმისა, რომ იგი ამჟამად მეტად მძიმე პირობებში იმყოფება, თანახმაა შემდეგი უკიდურესი დათმობანი იკისროს:

1) ის საერთო ჯამი, რომელიც ყოველ-წლივ ეძლევა მუშებს, გადიდებულ იქნეს 50%. მომატებული ფული უნდა განაწილდეს მორიგების თანახმად,

2) 10 დღის დასვენება ჯამაგირის შენახვით, რიგ რიგობით და იმ პირობით, რომ დასასვენებლად წასულ მოსამსახურის ნაცვლად ახალ მოსამსახურეთა მოწვევა საჭირო არ იყოს,

3) თვითეულ ექვსის თვის შემდეგ ჯამაგირის მომატება 5 კაპეიკით იმ საზღვრამდე, რომელიც შემდეგ იქნება დაწესებული,

4) უფასო საოჯახო ბილეთები ფოტოგრაფიული სურათებით, თვითეულ ოჯახზე არა მეტი ორის ბილეთისა; ამ ბილეთებით სარგებლობა კვირა-უქმეებში არ შეიძლება,

5) რეზერვი სრულ ჯამაგირს იღებს,

6) საბავშვო (მოსწავლეთათვის) ბილეთები შეზღუდვით,

6) სამკურნალო დახმარების საქმის გასაუმჯობესებლად საზოგადოება ყოველ წლივ დამატებით გადასდებს 5,000 მან.

8) ტანისამოსის შესახებ საზოგადოება თანახმაა.

9) რაც შეეხება ცენტრალურ სადგურის მუშების დაშავებას, ასეთ შემთხვევებში საზოგადოება კანონით იხელმძღვანელებს.

დანარჩენ მუხლებს საზოგადოება ვერ დააკმაყოფილებს. ეს დათმობაც საზოგადოების ყოველ წლიურ ხარჯს 70,000 მან. ადიდებს, რაც შეადგენს მუშათა წლიურ ჯამაგირის 20%. ამ წინადადებას ძალა აქვს იმ შემთხვევაში, **თუ მუშები დაუყოვნებლივ მუშაობას განაახლებენ.** მაშინ საბჭოს რწმუნებული დაუყოვნებლივ გამოიგზავნება დაწვრილებით პირობების შესამუშავებლად“.

ამ დეპეშის მიღების შემდეგ ტფ. გუბერნატორმა გაფიცულ მუშებს კრების გამართვის ნება მისცა. 1 სექტემბერს, ტფ. პოლიცმეისტრის თანადასწრებით, ტრამვაის პარკში მუშები შეიკრიბნენ და მოისმინეს ბელგიიდან მიღებული დეპეშა. მუშებმა თათბირის შემდეგ პოლიცმეისტერს სთხოვეს, კრების გამართვის ნება მეორე დღეს, 2 სექტემბერსაც მიეცათ, რადგანაც ამ დღეს ცოტანი იყვნენ. ნება დართეს. გუშინ მუშები მეორედ კიდევ შეიკრიბნენ, შეუძლებლად იცნეს უსახელო საზოგადოების წინადადების მიღება და ახალი მოთხოვნილებანი შეიმუშავეს, რომელიც გაფიცვის წინად წარდგენილ მოთხოვნილებათაგან რამდენადმე განსხვავდება. მოთხოვნილებანი მუშებმა გუშინვე ტრამვაის დირექტორსა და პოლიცმეისტერს წარუდგინეს, რომელთაც დეპეშით ეს მოთხოვნილებანი გუშინვე ბრიუსელში გაჰგზავნეს. მუშათა ახალი მოთხოვნილებანი შემდეგია:

1) ერთდროულად ჯამაგირის მომატება 10%-ით ყველა მოსამსახურეს, ხელოსანს და მუშას, აგრეთვე ცენტრალურ სადგურის მოსამსახურეებს.

2) სისტემატიური მომატება ჯამაგირისა თვითეულ ექვსის თვის შემდეგ 10 კაპეიკით.

3) სამკურნალო დახმარება როგორც ჩვენ, ისე ჩვენს ოჯახებს: ცოლებს, შვილებს და მშობლებს.

4) საოჯახო უფასო ბილეთები შეუზღუდველად.

5) პარკის ხელოსნებსა და მუშებს ერთის საათით ადრე უნდა გაუთავდეთ მუშაობა უქმეების წინა დღით, უქმეებში, შაბათობით და კვირაობით, აგრეთვე იმ დღეებში, როდესაც ჯამაგირს იღებენ.

6) ათის დღის დასვენება ჯამაგირის შენახვით ყველა მოსამსახურეს, ხელოსანს, მუშას და აგრეთვე ცენტრალურ სადგურის მუშებს დაუბრკოლებლად.

7) კვირა-უქმე დღეებში მოსამსახურეთ მიეცეს დღე-ნახევრის ჯამაგირი.

8) ცენტრალურ სადგურში მოისპოს სისტემატიური ზედ-მეტი სამუშაო.

9) გაფიცვის დღეების მთელი ჯამაგირი მიეცეს ყველა მოსამსახურეს.

10) გაფიცვისთვის არც ერთი მოსამსახურე არ დაისაჯოს.

11) მსახურები და ყველა დროებითი მუშა ჩაირიცხოს შტატში.

12) ტანისამოსისა და სარეზერვო საფასურის შესახებ თანახმა ვართ დირექციისა.

13) ყველა მსახურმა ტანისამოსი უნდა მიიღოს.

14) დანარჩენი მოთხოვნილებანი გადაუწყვეტელად რჩება ბელგიიდან რწმუნებულის ჩამოსვლამდე.

15) ყველა ზემო ჩამოთვლილი მოთხოვნილება კანონიერ ფორმით განსაზღვრულ-დამტკიცებული უნდა იქმნეს.

როგორც გავიგეთ, ბელგიიდან უკვე წამოსულა უსახელო საზოგადოების საბჭოს რწმუნებული, რომელიც ტფილისში 6 სექტემბრისთვის იქნება. იმედი აქვთ, რომ მის ჩამოსვლისათანავე რაიმე შეთანხმება მოხდება მუშებსა და რწმუნებულის შორის.

ადგილობრივ პრესაში, რასაკვირველია, გაფიცვის გამო რამდენიმე წერილი დაიბეჭდა. როგორც საზოგადოება, ისე პრესაც აღიარებს მუშათა მოთხოვნილებების სამართლიანობას. ვგონებ, ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ „გოლოს კავკაზა“ მუშებისა და გაფიცვების მომხრე არ არის საერთოდ. მაგრამ ამ შემთხვევაში იგიც კი ბელგიელების წინააღმდეგ სწერს. ამ მხრივ საინტერესოა ბ. კალაბეკის წერილი („გოლოს კავკაზა“, № 2014), რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგ სტრიქონებსა ვკითხულობთ:

„ტრამვაის მოსამსახურენი გროშის ფასად მუშაობენ; მათ შეძლება არა აქვთ მძიმე სამუშაოთი მოიპოვონ არამც თუ ხეირიანი ცხოვრების უფლება, არამედ—უბრალო უფერული ყოფაც კი.

„მოგვეცით ტანთსაცმელი... მოგვეცით უფლება მაძღრები ვიყვნეთ და წაიღეთ რუსეთის ფულები.

„არავითარ პოლიტიკურს, არავითარ გადაჭარბებულს მუშების მოთხოვნილებანი არ წარმოადგენენ...

„არ შეიძლება მათს მოთხოვნილებას შრომის კაპიტალთან ბრძოლაც კი ვუწოდოთ...

„ეს ბრძოლა კი არა, არამედ მშრომელთა სურვილია გაექცნენ უცხოელ მყვლეფავთა ბრჭყალებს“.

ასეთია ამ გაფიცვის შესახებ იმ გაზეთის აზრი, რომელსაც მემარცხენეობას და მუშებისადმი მიკერძოებას ვერ დასწამებთ.

საყურადღებო ცნობებს ბეჭდავს ბ. სკალპელი „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ის № 197-ში. იგი ამტკიცებს, რომ ეხლანდელი გაფიცვის გამოწვევაში ბრალი ედება თვით „ბელგიის უსახელო საზოგადოების“ გამგეობას, რომელმაც კარგად იცოდა მოსამსახურეთა განწყობილება, და რომელსაც ადვილად შეეძლო გაფიცვის თავიდან აცილება, რომ ცოტათი მაინც დაინტერესებულიყო მუშათა სამართლიანი მოთხოვნილებით.

„ბელგიის უსახელო საზოგადოების“ წარმომადგენელმა ბ-ნმა რასინმა,—სწერს სკალპელი,—ტფილისში ყოფნის დროს, კარგად იცოდა, თუ რა მოხდებოდა ბრიუსელში მის გამგზავრების შემდეგ.

„მას უნდა სცოდნოდა ეს; ტრამვაის დირექტორად ნამყოფმა ბელოიმ, პეტერბურგში წასვლის წინ, ერთს საუბრის დროს ამ სტრიქონების დამწერს უთხრა, რომ ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვას უეჭველად ყოველ დღე უნდა ელოდეთ, იმ შემთხვევაში, თუ ბელგიის უსახელო საზოგადოება არ დააკმაყოფილებს მოსამსახურეთა ადვილად მისაღებ და სამართლიან მოთხოვნილებასაო“.

გაზეთი ამტკიცებს აგრეთვე, რომ ეს მოთხოვნილებანი კარგად იცოდა რასინმა, აგრეთვე „ბელგიის უსახელო საზოგადოებამ“, რომელმაც აქამდე არავითარი ღონისძიება არ მიიღო.

„მართალია ბელგიის საზოგადოება ჰპირდება ზოგიერთის შესრულებას, მაგრამ... მაგრამ ეს „**ზოგიერთი**“ არავის არაფერს არ ეუბნება“...

...ეჭვი არ არის, რომ ტრამვაის მოსამსახურენი, რომელნიც მხოლოდ სამსახურის პირობების გაუმჯობესებას ცდილობენ, სიხარულით დასთანხმდებოდნენ ამ წამსვე მუშაობის განახლებას, თუ კი ბელგიელები აჩვენებდნენ მათ, თუ რას გულისხმობენ ისინი ამ „ზოგიერთ“-ში.

საჭირო იყო გარკვეული და გადაწყვეტილი პასუხის გაცემა, ან უფლებებით აღჭურვილი რწმუნებულის ტფილისში გამოგზავნა, რომელიც მუშებთან მოლაპარაკებას გამართავდა, და არა არაფრის მთქმელი დაპირებით მუშების კვება“.

ქართული ენა და ქართველები

რომელიმე შეგნებულ ერში რომ ასეთი საკითხი წამოაყენოს ვინმემ, ყველას განცვიფრებაში მოიყვანს, ან სიცილს გამოიწვევს მაგრამ ჩვენს უკუღმართ ცხოვრებაში ყველაფერი შესაძლებელია. სხვა ერებს ვირც კი წარმოუდგენია, თუ შეიძლება სამშობლო ენის დავიწყება, და აბუჩად აგდება. ჩვენ კი მუდამ გვიხდება იმაზე ჩივილი, რომ ქართულ ოჯახებიდან და საზოგადოებიდან ქართული ენა განიდევნა; მისი გაგონება თითქმის სანატრელად გაგვხდომია. ასეთ მდგომარეობაში, როდესაც რუსეთის პრესაში ვკითხულობთ ივანოვისა (წერილები „ნოვოე ვრემიაში“), ან მზგავსის წერილს, რომ ქართველები ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, ქართულის დავიწყებისათვის, რათა რუსულად ილაპარაკონო,—მეტი არა დაგვრჩენია რა ჩვენი მწუხარება გულშივე ჩავიკლათ და პასუხი დუმილით გავსცეთ. ესევე ითქმის მეფის მოადგილის მოხსენებაში მოყვანილ ცნობების გამო სახელმწიფო ენის (რუსულის) ხმარების შესახებ. მისი აზრით „კავკასიის ერებში არც კი არსებობს საკითხი სახელმწიფო ენის შესახებ. ყველა ერის წარმომადგენლები **ცდილობენ ბავშვს რუსული ლაპარაკი შეასწავლონ, ამავე დროს კი მნიშვნელობას აძლევენ ბავშვის სამშობლო ენაზე მომზადებას.***) ამისი დასამტკიცებელი საბუთი ბევრია, და პირიქით არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, როდესაც რუსულ ენაზე სწავლებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ. ამის ნათელი მაგალითია—სომხების სამრევლო სკოლები, სადაც სავალდებულო არ არის რუსული ენის სწავლება, მაგრამ მიუხედავად ამისა რუსულს ყველგან ასწავლიან“.

„**ხშირად მშობლები სოფლის მასწავლებლებს უკმაყოფილებას უცხადებენ, რომ უკანასკნელნი რუსული ენის სწავლებას აგვიანებენ.** საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მცირე გამოკლებით, კამათი რუსულად ხდება; ამასთან ყოველი ორატორი, რომელმაც რუსული ოდნავაც იცის, ცდილობს რუსულად ილაპარაკოს; თუ სიტყვა რაიმე **მიზეზის გამო ადგილობრივ ენაზე იყო წარმოთქმული,** იგი ჩვეულებრივ მაშინვე ითარგმნება რუსულად, რადგან იქ მყოფნი სხვა ერთა წარმომადგენელნი თხოულობენ რუსულად გადათარგმნას, ვინაიდან სიტყვა მათთვის გაუგებარ ენაზე იყო წარმოთქმული. ერთი და იმავე ერის წარმომადგენლებისაგან შემდგარ კრებაზედაც კი, თუ კი კრებაში ნასწავლები იღებენ მონაწილეობას, რუსულ ენას მუდამ უპირატესობა ეძლევა. საერთოდ რომ ვსთქვათ, რუსული კავკასიის ერთათვის კულტურული ენაა, რუსული ლიტერატურა ადგილობრივ მწერლებზე დიდს გავლენას ახდენს, ისინი თითქმის ამ ლიტერატურაზე არიან აღზრდილნი“... და სხვა.

რუსის მოხელის წარმოდგენით, შეიძლება, ეს უდიდესი ქება იყოს კავკასიის ერებისა; მაგრამ არც ქართველებს, არც სომხებსა და არც სხვა ერებს არ ვუსურვებთ, რომ ოდესმე კვლავ მიიღონ ასეთი „ქება“. არ შევეხებით სხვა ერების მდგომარეობას, მაგრამ ქართველების შესახებ კი გულ-ახდით უნდა აღვიაროთ, რომ მეფის მოადგილე სიმართლის წინაშე არ სცოდავს, ქართველმა საზოგადოებამ, ქართულმა ოჯახმა, საერთოდ ქართველობამ სრულებით დაიმსახურა ასეთი სასტიკი მათრახი. მეფის მოადგილეს ქართველების შესახებ მეტიც შეეძლო დაეწერა თავის მოხსენებაში. მას შეეძლო აღენიშნა, რომ ბევრ ქართველთაგანსაც არ ესმის ქართული ენა და ისინიც საჭიროებენ ქართულის რუსულად გადათარგმნას: ქართული ოჯახები თითით საჩვენებელი მაგალითი გაგვიხდა, ქართველი ქალები ქართულ ლაპარაკსაც კი თაკილობენ, ართახებში გაკრულ ქართველ ბავშვებს აკვანშიაც კი რუსულად ეალერსებიან და რა გასაკვირველია, რომ ცოტა მოზრდილმა უპირველეს ყოვლისა რუსულად დაიწყოს ტიტინი. ჩვენს მკითხველებს გადაჭარბებულად არ ეჩვენოს ეს. დიდად მოხარული ვიქნებით, რომ ვინმე წინააღმდეგს დაგვიმტკიცებდეს.

სწორედ ამ წერილის წერის დროს თელაველი კორესპონდენტისაგან მივიღეთ ცნობა, რომელიც საუკეთესო მაგალითია ჩვენი ცხოვრების დაქვეითებისა, ჩვენის თავის უარყოფისა. კორესპონდენტი გვწერს:

„ქარ. შორ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილების სკოლაში, გუშინ ერთი თავ-დახურული დედა მოვიდა; სკოლაში შვილის მიბარება სურდა და უპირველეს ყოვლისა ის იკითხა—რუსულს ასწავლიან თუ არაო. დარწმუნებული ვარ, უარყოფითი რომ ეპასუხნათ, შვილის მიღებაზე კრინტსაც აღარ დასძრავდა“-ო. ამბობს კორესპონდენტი.

სამწუხაროდ ეს სენი ქალაქებიდან თანდათან სოფლებშიაც გადადის. იქაც შედის ხმარებაში დამახინჯებული რუსული სიტყვები და თუ დროზე არ ვუქიმეთ, საქმე აქაც გართულდება.

ჩვენს გაზეთებში ბევრჯერ დაწერილა ამის შესახებ. ამიტომ წერილს აღარ გავაგრძელებთ. მაგრამ არ შეგვიძლია ერთხელ კიდევ არ დავსვათ კითხვა: ნუ თუ მუდამ ასე გულგრილად უნდი ვუცქეროთ ჩვენს გადაგვარებას? ნუ თუ დრო არ არის გამოვერკვეთ ხანგრძლივის უძლურებისაგან და შევიგნოთ, რომ ენის დაკარგვა, ჩვენს მოსპობას ნიშნავს?

კოდრელი.

მეურნეთა თათბირი საგარეჯოში

სწორედ მადლობის ღირსია ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო, რომელმაც საგარეჯოში ივრის ხეობის მეურნეთა თათბირი მოიწვია, ადგილობრივის სასოფლო მეურნეობის გამოსარკვე-

---

*) კურსივი ყველგან ჩვენია.

ვად და შესაფერ ღონისძიებათა მისაღებად. თათბირს, რომელიც დაიწყო 29 აგვისტოს, დაესწრნენ: სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრნი, აგრონომები, სასოფლო მეურნეობის მცოდნე თ. თ. კრისტაპოვიჩი, სოფლის ინტელიგენცია და 200-მდე გლეხი. ყველა მეტად დააინტერესა ამ იშვიათმა თათბირმა და დააკმაყოფილა კიდეც.

პირველ დღეს, 29 აგვისტოს, თათბირის მონაწილეთა წინასწარი საუბარი გაიმართა ივრის ხეობის მეურნეობის ხასიათისა და საჭიროებათა გამო. გამოირკვა, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ივრის ხეობაში საგრონომიო დახმარების ჩქარი მოწყობა.

მეორე დღემ, 30 აგვისტომ, თათბირის მონაწილენი უფრო დააინტერესა. ამ დღეს უჩვენეს საქონლის ფეხზე აწონა საზომი ლენტით; შემდეგ ბ-ნმა კრისტაფოვიჩმა დამსწრეთ უჩვენა ამერიკულის წესით ხილის დაჩირვისა და გახმობის საშუალებანი; ამავ დღეს უჩვენეს სათესლედ პურის გაკეთება საგანგებო მანქანით და სეტყვასთან საბრძოლველი შუშხუნები.

31 აგვისტოს სასოფლო სამეურნეო იარაღების გამოცდა მოხდა. სავარჯიშოდ ამუშავეს ოთხი გუთანი (საკისა, ფლეტერისა, რანსომისა და ჩვენებური-კაკაბური) და ორი ფარცხი—კბილებიანი საკისა და თეფშებიანი—ამერიკული.

1 სექტემბერს უჩვენეს რძის ნაღების მოხდა.

თათბირის მონაწილენი, რომელნიც ტფილისიდან იყვნენ წასულნი, 1 სექტემბერს, საღამოს ტფილისს დაბრუნდნენ.

ანკეტა ნაციონალურ საკითხის შესახებ

გაზეთ „დენის“ ცნობით, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს „შრომის ჯგუფმა“ შემდეგი საანკეტო ფურცლები დაჰგზავნა:

„შრომის ჯგუფი მუდამ დიდ მნიშვნელობას აძლევდა რუსეთის ნაციონალურ საკითხს. ეს გამოიხატა როგორც „შრომის ჯგუფის“ პროგრამაში, სადაც ნაციონალურ საკითხის პრობლემას ერთი უმთავრესი ადგილთაგანი უჭირავს, აგრეთვე ჯგუფის ამ საკითხის გამო სახ. სათათბიროს ტრიბუნაზე რამდენიმე გამოსვლით. ამიტომ ბუნებრივია ჯგუფის მისწრაფება, რომ თავისი საზოგადო-საპოლიტიკო მოღვაწეობა შეუკავშიროს მასთან ახლო მყოფ რუსეთში მცხოვრებ ყველა ერის პოლიტიკურ პარტიების მუშაობას.

მიმდინარე წლის მარტის გასულს „შრომის ჯგუფის“ მეთაურობით, მოხდა შეერთებული თათბირი ჯგუფის წევრებისა და მასთან ახლო მდგომარე პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებისა (თათბირში მონაწილეობა მიიღეს: სომხებისა, ბელორუსებისა, ქართველებისა, ებრაელებისა, ლიტველთა, პოლონელთა და უკრაინელთა წარმომადგენლებმა) ამ თათბირის განხილვის საგანი იყო საკითხი ამ ჟამად უკვე მომწიფებულის, რუსეთის მონათესავე ნაციონალურ პოლიტიკურ მიმართულებათა ერთობის შესახებ. თათბირს წინასწარი ხასიათი ჰქონდა თათბირმა დაადგინა:

I. არსებულ ნაციონალურ-პოლიტიკურ პარტიების შემწეობით შეგროვდეს მასალა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ნაციონალური საკითხი თითოეულს ერში.

II. გავრცელდეს ის აზრი, რომ ახლო მომავალში მოწვეულ იქნეს კონფერენცია მონათესავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პარტიებისა და ჯგუფების წარმომადგენელთა, რომელნიც არიან გამომხატველნი რუსეთში მცხოვრებ ერების სხვა და სხვა დემოკრატიულის, შრომის წრეების ინტერესებისა:

1) არსებულ კანონმდებლობის ნაკლი ამა თუ იმ ერის ინტერესებისა და თავისუფალ განვითარების მიხედვით.

შენიშვნა: სასურველია დაწვრილებით აღნიშვნა ყველა არსებულ კანონისა, რომელიც სპეციალურად მიმართულია ამა თუ იმ ერის წინააღმდეგ, ან და რომლის განხორციელება ცხოვრებაში ფაქტიურად ავიწროებს ერის უფლებებს და თავისუფალ განვითარებას.

2) ერის რომელი ინტერესია შებღალული დამყარებულ ადმინისტრატიულ პრაქტიკით და ახალი ადმინისტრატიული განკარგულებით.

შენიშვნა: სასურველია სწორი აღნუსხვა ყველა გამოცემულ ადმინისტრატიულ განკარგულებისა და სხვა ადმინისტრატიული თვითნებობისა უკანასკნელ 8 წლის განმავლობაში.

3) რა ძირითადი ნაციონალური მოთხოვნილება წამოაყენა თქვენმა პარტიამ (ან ჯგუფმა) შემდეგ დარგში. საერთო—საკულტუროში, სოციალურ-ეკონომიურში, სამოქალაქო-უფლებრივში და პოლიტიკურში.

4) როგორია ნაციონალურ-პოლიტიკური პროგრამები სხვა პარტიებისა (ჯგუფებისა) და საზოგადოებრივ მიმართულებისა, რომელიც ამა თუ იმ ერში არსებობს ამ ჟამად.

5) როგორია თქვენი პარტიის ტაქტიკა და აგრეთვე ერის სხვა პოლიტიკურ-ნაციონალურ კავშირებისა.

კერძოდ: 1) რა გზა აქვს დანიშნული ყოველ ასეთ ორგანიზაციას, თავის ნაციონალურ პროგრამის მისაღწევად.

2) რა გზა აქვს არჩეული ამ მხრივ ყოველ მათგანს.

6) საურთიერთო დამოკიდებულება ამა თუ იმ ერისა სხვებთან, რომელნიც მასთან მეზობლად სცხოვრებენ.

— თუ რომელიმე ადგილის ერებს შორის შუღლი და განხეთქილებაა, რითი გამოიხატება ეს. რაგვარი ძირითადი მიზეზებით არის შექმნილი ეს უთანხმოება.

იყო თუ არა ისეთი გარემოებანი რომელიც ბოლო ხანებში ხელს უწყობდა უთანხმოების გაძლიერებას ან შესუსტებას.

თქვენი პარტიის (ან ჯგუფის) აზრით, რა საშუალებით შეიძლება ამ უთანხმოების მოსპობა ან შესუსტება.

7) რა სახით შეიძლება და საჭიროა სახელმწიფო სათათბიროში ნაციონალური საკითხის წამოყენება—ერთი საერთო საკითხისა, თუ მთელი რიგის კერძო საკითხების სახით, ერთი საერთო კანონ-პროექტისა, თუ მთელი რიგი კერძო საკანონმდებლო მოსაზრებათა სახით.

8) კონკრეტულ პირობებში რა სახით უფრო შესაძლებელია ამ ჟამად ნაციონალური საკითხის აღძვრა საზოგადოების ფართო წრეებში, სახელმწიფო სათათბიროს გარეშე.

შრომის ჯგუფის უკანასკნელ კონფერენციაზე შემდეგი რეზოლიუცია იქმნა მიღებული ეროვნული საკითხის შესახებ:

„შრომის ჯგუფი აღიარებს, რომ ყველა მოქალაქეს, განურჩევლად მისი ეროვნებისა, უნდა მინიჭებული ჰქონდეს თანასწორი უფლებანი და რუსეთის ყველა მშრომელ კლასს აქვს ერთნაირი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები, ამიტომ ჯგუფს აუცილებლივ საჭიროებად მიაჩნია დაუყოვნებლივ გაუქმდეს მოქალაქეთა ყოველგვარი ეროვნული და სარწმუნოებრივი შევიწროვება; იგი (ჯგუფი) დაიცავს ყოველი ერის უფლებას, რომ თავისუფლად იხმაროს დედა-ენა ეკლესიასა, სკოლასა, სასამართლოსა და ადგილობრივ თვითმმართველობაში, აგრეთვე მხარს დაუჭერს ერთა თვითმმართველობის მოთხოვნას ფართო ავტონომიის სახით ხოლო იმ პირობით, რომ დაცულ იქმნას ერთობა და მთლიანობა სახელმწიფოსი.

ვინაიდან ზოგიერთმა ერებმა მოითხოვეს, რომ შრომის ჯგუფმა გარკვევით გამოსთქვას თავისი მოთხოვნილებანი, ამიტომ კონფერენციამ დაადგინა, შეტანილ იქმნას კრების ოქმში, რომ შრომის ჯგუფი ერებად აღიარებს აგრეთვე უკრაინელებს და ბელორუსებს.

(„დენ“ № 230)

რა ვნახეთ ზემო-იმერეთში

(წლევანდელი მოუსავლობის გამო)

იმერეთის მარჩენალსა და მასაზრდოებელ ძალას სიმინდი და ღვინო შეადგენს. ხალხი ცდილობს უწინ გამოსადეგარი ადგილებიც არ დატოვოს აწი უსარგებლოდ და ზოგჯერ ისეთ ადგილებში ნახავთ ნათესს, რომ გიკვირით და გაოცებთ—როგორ მიუდგა მას ადამიანის მარჯვენა და როგორ დაამუშავაო.

ადგილის სივიწროვე და სამეურნეო იარაღთა პრიმიტიულ მდგომარეობაში ყოფნა ხალხს აიძულებს ციცაბო, ქვებითა და ხრეშით სავსე კლდენი და ბორცვები გასწმინდოს—გაასუფთაოს, ბევრგან ჭაობები ამოაშროს და ქვა-კლდე ფქვილად აქციოს. ვენახის მტერმა ფილოქსერამ არც იმერეთის სოფლები მოიძულა და იგიც მოინახულა. იქ, სადაც უწინ ტყესავით ხშირსა და ყოჩაღ ვაზებს შეხვდებოდით, ფილოქსერამ სავსებით გაახმო და გაანადგურა. ეს იყო მიზეზი, რომ აგერ უკვე ათი წელია, რაც ხალხმა ფილოქსერის თავიდან ასაცილებლად ეგრედწოდებული ამერიკული, მწარე ვენახის გაშენებას მიჰყო ხელი. კვლავ აყვავების გზას დაადგა მევენახეობა და ახლა იშვიათად შეხვდებით გლეხს, რომელსაც რამდენიმე ქცევა მიწა ვენახად არ ჰქონდეს გაშენებული. ყოველ წელს ღვინის მოსავალი თანდათან მატულობს და ამგვარად ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას შედარებით სიკეთე ემჩნევა.

როგორც ვსთქვით—მეორე ძალას და პურს არსებისას გლეხისთვის სიმინდი შეადგენს, უმთავრესად ყანები სიმინდითაა დათესილი, ღომს აქაური ხალხი როგორღაც ვერ ეწყობა და პურსაც იშვიათად სთესავს, ე. ი. იმდენს, რამდენიც სტუმრად მოსული ნათესავ-ნაცნობებისთვის ან დღეობისთვის დასჭირდება. სხვა დროს, სხვა გარემოებაში გლეხი პურით არ სარგებლობს. სწორედ ამ ტრადიციათა ბრალი იყო, რომ წელს პურის მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა და შიმშილობა კი მაინც აუცილებელია, რადგან სიმინდი გადახმა, სიმინდი აღარ არის და რამდენიმე კოდი*) სიმინდით ვინ გამოიკვებოს თავი? თუ უწინ სიმინდი იმდენი მოდიოდა თითოეულ გლეხს, რომ მის ოჯახს იგი არც კი უნდებოდა და სიმინდის ნაწილი ბაზარზე მიჰქონდა გასასყიდად, რათა სხვა ოჯახური საჭიროება დაეფარა და დაეკმაყოფილებია დღეს იგი სიმინდს არა თუ ვერ გაჰყიდის, მთელი მოსავალი მის ოჯახს იანვრამდის არ შეჰყვება სარჩოდ. ყანები სასოწარმკვეთ სურათს წარმოადგენს: იქ, სადაც სიმინდი 2—3 არშინის სიმაღლე იზრდებოდა და თითოეულ ღერს 2—3 ტარო გამოჰქონდა, დღეს რამდენიმე გოჯის სიმაღლეც ძლივს არის, გაყვითლებული ზოგან გამჭკნარი, ზოგგან გამხმარი, უსიცოცხლო, რომელსაც არც ტარო გააჩნია და ჩალად, ცხოველების საკვებადაც უვარგისია. შეგხვდებათ ადგილები, სადაც რამდენიმე ქცევის სივრცეს ისე გაივლით, რამდენიმე ათასს ღერ სიმინდს დაითვლით და ერთ ტაროს კი ვერ უპოვით. განსაკუთრებით ცუდი სანახავია ზესტაფონსა და სვირს შუა მდებარე ქალები, სადაც ყოველთვის კარგი მოსავალი იცოდა და წელს კი არაფერი არაა, იგი მხოლოდ გლეხებში უიმედობისა და სასოწარკვეთის აღმძვრელია და მეტი არაფერი. გასცილდებით შორაპანს და იქაც იგივე სურათი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რამდენიც ქვევით, საჩხერე-ჭიათურისკენ მიიწევთ, მით უფრო და უფრო უმჯობესდება ნათესი და საჩხერის ზევით კი, ოსეთისკენ გვალვა არ დასტყობია. მაგრამ შიმშილობა იქაც ისეთივე აუცილებელია, როგორც ზევით, ზესტაფონისკენ. და აი, რატომ:—საჩხერის საბოქაულოში ყველაზე უკეთესი მოსავალი საჩხერის მახლობლად მდებარე ხოდაბუნებმა იცის. გლეხებმა იციან თქმა: „ქვეყანა რომ დაიქცეს ხოდაბუნლებს არა გაუჭირდება რაო“, რადგან ადგილი ვაკეა, ნიადაგი ნაყოფიერი, მსუქანი და სწორედ წელს ასეთი ადგილებია დაზარალებული გვალვის სუსხით, აქაა ნათესი გადამხმარი და გადამჭკნარი, ისეთი ადგილებია მოკლებული მოსავლის დოვლათს, რომელიც უმთავრესი მარჩენალი წყაროა საჩხერის კუთხის მცხოვრებლებისა და თუ ოსეთში, გინდა დანარჩენ მთების თითო-ოროლა სოფელში, მოსავალი კვლავინდებურია და გვალვას ვერა დაუკლია-რა, ეს ბარში მდებარე ადგილებით მიყენებულ ზარალს ვერ ჰფარავს, რადგან მთების მოსავალი თვით მთის სოფლებსაც ვერ ჰყოფნის და ბარის იმედით არიან, რაც გინდ უხვი წელიწადიც დაუდგეთ. მთელი საბოქაულოს რამდენიმე საზოგადოებაში მხოლოდ ორი-სამი სოფელია წელს გვალვისგან დაუზიანებელი, მაგრამ სამაგიეროდ დაზიანებული ქრონიკული მოუსავლობით („იმერეთი“).

იმერი.

(შემდეგი იქნება).

მუშათა ცხოვრება

◆ **ბელგია.** გენტში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. კონფერენციის თავმჯდომარედ აირჩიეს საფრანგეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ლეონ ბურჟუა. ბურჟუამ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა სოციალურ პოლიტიკის პრინციპების შესახებ. ტაძარი, რომელიც ჩვენ გვინდა ავაგოთ,—სთქვა ბურჟუამ,—არის ტაძარი ადამიანთა ერთობისა. ერთის მხრით, ამ საქმეს გვავალებს წარსული, ტრადიცია, მეორეს მხრით იგი თვით ჰქმნის ახალს ღირებულებას. ვიხმარ ერთის ფილოსოფოსის სიტყვას და ვიტყვი, რომ ეს შემოქმედებანი ევოლუციის საქმეა, ვინაიდგან მას სწადია კაცობრიობის უმაღლეს ხარისხამდე ამაღლება. ეს საქმე ერთნაირად ძვირფასია—იმისთვის, ვისაც უყვარს თავისი, მოყვასი, იმისთვისაც, ვისაც ასულდგმულებს რელიგიური რწმენა და იმისთვისაც, ვისაც ხელმძღვანელობს ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. თანამედროვე საზოგადოებრივი პირობები ასე დაახასიათა ორატორმა: არსებობის პირობები ღრმად შეიცვალა მე-19 საუკ. მეცნიერული აღმოჩენების შემწეობით. ცხოვრების მაჯის ცემა საოცრად განვითარდა, მოხდა კაპიტალის კონცენტრაცია, რის გავლენით ხშირად შრომის ბაზარი დამოკიდებულია რამდენისამე კაცის სურვილზე; მეტად გამწვავდა ქიშპობა როგორც ერთს ერში, ისე ცალკე ერებს შორის. შრომისა და კაპიტალის კავშირების გამო ყოველმა მოძრაობამ ეკონომიურ სფეროში მიიღო ძალზე გაძლიერებული ხასიათი. ამ ფაქტებმა წინ წამოაყენეს სოციალური პოლიტიკის საკითხი. უნდა გადაჭრით აღვიაროთ საზოგადოებრივ სიბოროტის არსებობა, ე. ი. იმ სიბოროტისა, რომლის მიზეზები პიროვნებაში კი არ იპოვება, არამედ იმ პირობებში, რომელთა შორის მოქმედობს პიროვნება. ეს უბედურება არ შეეხება მხოლოდ ცალკე ადამიანს, არამედ მის ოჯახს, წრეს და მთელს საზოგადოებასაც. საზოგადოებრივს სიბოროტეს უნდა ვებრძოლოთ საზოგადოებრივის ძალღონით. საჭიროა საზოგადო კავშირი, რომელიც ქველმოქმედებით და შეწყალებით კი არ უნდა ებრძოდეს სიბოროტეს, არამედ უნდა მოსპოს მისი არსებობის პირობები. ორი ერთი-მეორის საწინააღმდეგო კანონი ებრძვის ერთმანეთს,—დაამთავრა თავისი სიტყვა ბურჟუამ,—ერთია კანონი სისხლისა და სიკვდილის და იწვევს ადამიანებს ბრძოლის ველისკენ; მეორეა კანონი მშვიდობიანობის, შრომის და ძმობისა. უკანასკნელს სწადია გაანთავისუფლოს ადამიანი შემბორკველ პირობებისაგან. პირველი კანონი მზადაა ასი ათასი კაცის სიცოცხლე შესწიროს ერთის კეთილდღეობას და პატივმოყვარეობას; მეორეს შეხედულობით კი, ყოველი ადამიანის სიცოცხლე მაღალია, ხელშეუხებელი.

◆ **ინგლისი.** 24 ამ თვეს დამთავრდა ინგლისის ტრედ-უნიონების კრება. უკანასკნელი დღეების განმავლობაში კრებამ განიხილა ფრიად საყურადღებო საკითხები. ასოთ-ამწყობთა ერთმა წარმომადგენელმა მოითხოვა საყოველთაო გამოსვლა, რათა მუშებს მოუმატონ კვირაში 5 შილინგი, რადგან გაძვირდა სანოვაგე. ამას უპასუხეს, რომ ქირის მომატება აუცილებლივ გამოიწვევს სანოვაგის ახალს გაძვირებას, ამიტომ გაცილებით უმჯობესია ვიბრძოლოთ სამუშაო დღის შემცირებისთვისო. მიუხედავად ამისა, ქირის მომატებას მხარი დაუჭირა 1062 ათასმა ხმამ წინააღმდეგ 626 ათასისა. 23 აგვისტოს კრებას კამათი ჰქონდა რკინის გზების და მაღაროების ნაციონალიზაციის და საარჩევნო კანონების შეცვლის შესახებ. კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომ შემოღებულ იქმნეს საყოველთაო საარჩევნო უფლება კაცისა და ქალებისათვის, არჩევნები მოხდეს ერთსა და იმავე დღეს, სამართლიანად განაწილდეს საარჩევნო ოლქები და სხ. კრებამ უარჰყო პროპორციონალური სისტემა. კრებამ დაჰგმო საყოველთაო სამხედრო ბეგრის დაწესება და პროტესტი გამოაცხადა ერების ერთმანეთზე გადაკიდების წინააღმდეგ. ამავე დროს დიდი ოვაციები გაუმართა უცხოეთის წარმომადგენლებს.

წერილი გორიდან

ხუთშაბათს, 29 აგვისტოს, ილიას ვერაგულად მოკვლის ექვსი წლის თავზე, გორის საკრებულო ტაძარში, ქალაქის, წ.-კ. საზოგადოების, ინტელიგენციის და სხვ. წარმომადგენელთა თანადასწრებით, გადაიხადეს პანაშვიდი განსვენებული მგოსნის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ბ. დავით კასრაძემ. „მართალია,—სთქვა ბ. კასრაძემ,—დიდებულ მგოსნის წმინდა სისხლით წაწამურის მიდამოს შეღება დღესაც რაღაც დაუჯერებელ რამედ მიგვაჩნია, არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ადამიანმა თავის ხელით წამოაქციოს თავისივე სამლოცველო, მაგრამ თუ გადავხედავთ იმ დროს, როდესაც მოხდა ეს საშინელება, დავინახავთ, რომ ილიას სიკვდილი არა თუ საოცარი, აუცილებელიც იყოო. გაიხსენა უხამსი ბრბოს აღვირწახსნილი თარეში ჩვენს დაბა-სოფლებში, მის მიერ გამეფებული ცეცხლი და მახვილი და სთქვა—განა გასაკვირალი უნდა იყოს, თუ ამ დროს რაიმე შემაძრწუნებელი ამბავი მოხდაო.

შემდეგ ლამაზად დაასურათა ის უკუღმართი ხანა, როდესაც სულმნათ ილიას პირველად მოუხდა სამწერლო და საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობა, დაასურათა ილია, ქართველთა ერთობის დამცველი, ქართველთა ერთობის მღაღადებელი, როდესაც „ქართველობა დაიკარგა, საქართველოში ქართველი აღარ მოიპოვებოდა, ქართველი დედის ძუძუ გაშრა, დედის ძუძუს თვით შვილიც აღარა სწოვდა“, შეეხო ილიას მსოფლმხედველობას მამულიშვილობაზე, ეროვნულ საკითხზე და აშკარად დაამტკიცა, თუ რაოდენად უსაფუძვლოა იმის მტკიცება, ვითომ მამულიშვილობა კაციჭამიობა იყოს. ისტორიას არ ახსოვს, რომ **ქართველ ერს დღიდან თავისი არსებობისა დაპყრობითი პოლიტიკით ეხელმძღვანელოს. პირიქით, საქართველოს ისტორია არის ისტორია რაინდული მოგერიებისა თავის დასაცველად.** მოიყვანა მრავალი ისტორიული მაგალითი, როდესაც სპარსელთ, ოსმალთ, არაბთ თუ სხ. კოცონი აუგიზგიზებიათ საქართველოს დაჭრილ გულზე, მაგრამ როცა კი ჩვენი სამშობლოსთვის ბედს გაუღიმია, გამარჯვების სასწორი ახლა მისკენ გადმოხრილა, მას არასდროს არ უსარგებლნია შემთხვევით, არ უძიებია შური, პირ-იქით მიუტევებია, უპატიებიათ და სხვ. ხოლო თუ ბოლო ხანებში სომხებსა და ქართველებ შორის იჩინა თავი რაღაც ანტაგონიზმისებურმა უკმაყოფილებამ, ეს ისევ სომეხ ყალბ მეცნიერთა სიბეცის ბრალიაო. ილიას სძულდა არა სომხობა, არამედ ეწადა ქართველობა ეხსნა ათასგვარ უხამსი ბრალდებისაგან, და უსამართლოებისაგან, ათასგვარ ცილისწამებისაგან, რომელთაც სომეხი „მეცნიერნი“ ავრცელებდნენ ჩვენზე შინ თუ გარედ და რომელთაც ილიამ პირბადე ჩამოხსნა თავისი „ქვათა ღაღადი“-თაო.

ბოლოს ბ. კასრაძე ისევ დაუბრუნდა ილიას მნიშვნელობას ქართველებისათვის და დაამთავრა თავისი სიტყვა შემდეგი სიტყვებით: ჩვენმა პოლიტიკურმა უმწიფობამ ზნეობრივ სიკოტრემდე მიგვიყვანა, რომ ერის ძესაიდუმლეს, რომელიც ასე სდარაჯობდა თავის სამშობლოს, ჩვენი ხელით ტყვია ვკარით შუბლში. ილიას მოკვლამ ის მაინც მოგვიტანა, რომ რაოდენადმე თვალი აგვეხილა და ნათლად დავინახეთ, თუ რა განსხვავებაა მშრალს თეორიებსა და ცხოვრების შუა, სადაც ილიას პრაქტიკული შეხედულებანი მეტად ნაყოფიერს ნიადაგს ჰპოულობენ. ჩვენ უკვე დავშორდით სტიქიურ სიცოფეს, რომელიც დაუდგრომელად მოერეკებოდა თვით ბავშვებსაც კი, რომელნიც ბუნებით სასიყვარულოდ და საალერსოდ არიან დაბადებულნი, ვიდრე ცნობიერებაში მოვლენ ხოლმე. ვიმეორებ. ამ დროს საშინელი მკვლელობა სრულიადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს საშინელებად! უგუნურება იმით არის უგუნურება, რომ ყოველ მსჯავრის გარეშე იდგეს იგი! ჩვენც ნუ განვასამართლებთ მკვლელთ, შევუნდოთ მათ, როგორც თვით ილია ითხოვდა თავის ლოცვაში, და მაშინ თვით ილია ერთი ათასად გაიზრდება, ამაღლდება ყველას თვალში, ხოლო მკვლელები კირთებით დამძიმებული მოვლენ და შენდობას მოითხოვენ ცრემლით...

პანაშვიდი გადაიხადა დეკანოზმა ი. კაპანაძემ საკრებულოს ტაძრის და ოქონის ეკლესიის შეერთებულ სამღვდელოების თანამწირველობით..

სან-განიძე.

ღია ბარათი

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსისადმი.

ამ წლის 28 ივლისს ჩვენ, საფილოქსერო დასის ბ. გოგნიაშვილის ჯგუფში მომუშავე სტუდენტებმა, რიცხვით 9 კაცმა, სოფ. ველისციხიდან გამოვგზავნეთ თხოვნები ტფილისში სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში, რათა მთელი ივნისისა და ივლისის პირველ ნახევრის გაცდენისათვის მოეცათ ჩვენთვის ჯამაგირი. თითო თხოვნას ზედ დავაკარით 15 შაურიანი მარკა. როგორც სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში გადმოგვცეს, იქ კონვერტების გახსნისას, ყველა თხოვნა უმარკო აღმოჩენილიყო, თუმცა კი კონვერტები ისევ ისე მთელი იყო, რის გამოც ჩვენ, გამომგზავნელებს, ახლა გვაჯარიმებენ და პოლიციის დახმარებით ფულს გვართმევენ.

მივაქცევთ რა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის ყურადღებას ამ გარემოებას, ვთხოვთ, დანიშნოს სასტიკი გამოძიება, თუ როგორ დაიკარგა მარკები.

ამხანაგების მინდობილობით

სტუდ. ალ. შამულაშვილი.

P. S. უმორჩილესად ვთხოვ რუსულ გაზეთებს „ზაკავკაზიესა“ და „ზაკავკაზსკაია რეჩს“ ეს წერილი გადაბეჭდონ. **ა. შ.**

თეატრი და ხელოვნება

ქიათურის დრ. საზ. მიიწვია დასში ქ.ქ. ა. ლოლუა და მ. ქილარჯიშვილის ასული, რეჟისორად კ. ანდრონიკაშვილი, მსახიობებად—ა. მურუსიძე და აბდუშელი.

ვალ. გუნია მოწვეულია ტფ. დრ. საზოგადოების დასში.

ვ. არაბიძე, ქუთაისის დასის მსახიობი, მიიწვიეს ქ. სოხუმში, რეჟისორად და მსახიობად.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

31 აგვისტო.

უცხოეთი.

სოფია. საერთაშორისო საგამომძიებლო კომისიის წევრებს—ბრეილსფორდს და გოდარს საუბარი ჰქონდათ გარეშე საქმეთა მინისტრთან სამუშაო პროგრამის თაობაზე. პრესა თანაგრძნობით შეხვდა კომისიის წევრებს. საბოლოოდ მუშაობის პროგრამა გამორკვეული იქნება, როდესაც სტამბოლიდან დანარჩენი წევრებიც ჩამოვლენ. კომისიის წევრები რამდენიმე დღეს დარჩებიან სოფიაში და შემდეგ მაკედონიაში გაემგზავრებიან.

რადკო დიმიტრიევი ბულგარეთის ელჩად დაინიშნა პეტერბურგში.

ტოკიო. ოფიციოზი იუწყება, ახლო ხანში გათავდება ნანკინის ინციდენტთან ერთად მანჯურია-მონგოლეთის საკითხიო. საზოგადოება უკმაყოფილოა იაპონიის მოთხოვნებით ჩინეთის მიმართ რადგან უკანასკნელი ძლიერ უმნიშვნელო არისო.

ჩინეთიდან წყალში გავიდა კრეისერი „კასაგი“.

ლონდონი. „დეილი-ტელეგრ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან, იაპონია სხვა მოთხოვნასთან ერთად პორტ-არტურის იჯარის ვადის 50 წლით გაგრძელებას მოითხოვსო.

ბელგრადი. სერბიისა და საბერძნეთის საზღვრების განმსაზღვრელ კომისიის წევრთა შორის უთანხმოება სამხრეთში მდებარე გევგელიმ და ენიჯემ გამოიწვია, სოფელი სეხოვო 150 მეტრით დაშორებულია გევგელისაგან. კომისიის წევრები ინსტრუქციებისთვის თავიანთ მთავრობებს მიმართავენ, მანამ კი მუშაობა შეაჩერეს. სერბია-ბულგარეთის საზღვრების მომწესრიგებელი კომისია ამ დღეებში დაასრულებს სამუშაოს.

ვენა. „პოლიტიშე კორესპ.“-ს აუწყებენ, ტყუილია ხმები, თითქოს ჩინეთს ნანკინის ინციდენტის მალული მიზნისთვის გამოყენება სურდეს. იაპონიას მხოლოდ ისა სურს, რათა ჩინეთს რამდენიმე საკითხში დაათმობინოს. ჩინეთის მთლიანობის დარღვევას იაპონია არ ფიქრობს.

ტყუილია ცნობა, თითქოს იაპონიის ჯარი გადაესხას ნანკინში. იქ მხოლოდ იაპონელთა ერთი რაზმია 107 კაცისაგან შემდგარი იაპონელთა დასაცავად.

პეკინი. ამას წინად სამი იაპონელი ჯარის-კაცის და ხუთი ჩინელი პოლიციელის ჩხუბის დროს დახოცვის თაობაზე, ორივე მხრით გამოძიება სწარმოებს.

ბელგრადი. ტყვეთა გაცვლა ბულგარეთსა და სერბიას შორის მოხდება 2 სექტემბერს.

თავრიზი. თეირანიდან მოდიან აგიტატორები მეჯლისში არჩევნების გამო. მათ აგიტაციას დიდი გავლენა არ აქვსო. აუარებელი ხალხი გამორბის ხალხალიდან, სადაც დიდი შეტაკება და ცარცვა-გლეჯაა მცხოვრებლებთა შორის.

რვა ოქტომბრიდან სპარსეთი მარკების ფასს დაუკლებს.

მადრიდი. გაიფიცა ნაწილი მომუშავეთა რკინის გზაზე, რომელიც

---

*) კოდი ზემოიმერეთში ორ ფუთ ნახევარს უდრის. კოდშია ოთხი ბათმანი. ბათმანში 8 ოყა, ე. ი. 24 გირვანქა.

ეროვნული

რიონტინტოს ოლქის მაღაროებში მდებარეობს. რკინის გზაზე მიმოსვლა შეჩერებულია.

ხუკოვო. საზღვრებს სერბიასა და საბერძნეთს შორის გადასწყვეტენ დიპლომატიურის გზით.

გარდაიცვალა ხოლერისაგან ცნობილი გმირი წასულ ომისა დრინის დივიზიის უფროსი ნედიჩი.

ლონდონი. ცეცხლმა გაანადგურა სადგური კენტონი. ნორტუმბერლენდში ბარგის მოწმობებზე წარწერა იყო: „ყველაფერში დამნაშავე ასკვიტია, მიმართეთ ზარალის ასანაზღაურებლად“.

პეკინი. ჩინეთის მთავრობამ ჩაიბარა იაპონიის მოთხოვნანი ნანკინში მომხდარ ინცინდენტით გამოწვეული.

რომი. საზღვაო სანიტარულმა უწყებამ ბრძანება გამოსცა, ყველა გემები შავი ზღვიდან რომ გამოვლენ, დათვალიერებულ უნდა იქმნენო.

ლვოვი. „ლვოვის კურიერი“ იუწყება, პოზნანში დაიმედებულნი არიან გერმანია შესცვლის თავის პოლიტიკას პოლონელების მიმართო. გერმანელებს სურთ, უკმაყოფილება ალმოფხვრან პოლონლებში და ასეთი განწყობილებით ისარგებლონ განსაკუთრებულ შემთხვევაში. 1912 წელს გერმანია დარწმუნდა, რომ ავსტრია გაცილებით წინ უდგას ამ მხრით გერმანიას.

რომი. „ტრიბუნა“ იუწყება: საერთაშორისო კომისიის მუშაობა ჩრდილოეთ საზღვრების თაობაზე ალბანიასთან დაიწყება კორფუში 8 სექტემბრიდან და დასრულდება არა უგვიანეს ოქტომბრის ნახევრისა.

კრაკოვი. გალიციაში წყლისაგან ზარალი უდრის 266 მილიონ კრონს. მცხოვრებლებს საერთო უფულობისა გამო საჭირო დახმარება ვერ ეძლევა.

სტამბოლი. შესდგა ოსმალეთისა და ბულგარელების შეერთებული კრება. განიხილეს ორივე მხრის მიერ წარდგენილი პროექტები. გამოირკვა, საზღვრების საკითხის თაობაზე ორივე მხარე კმაყოფილია. შემდეგი კრება ორშაბათს მოხდება. იმედოვნებენ, ოთხშაბათისთვის კონფერენცია დაამთავრებს მუშაობას.

ლონდონი. გაფიცულმა მღებავებმა განაახლეს მუშაობა. შვიდი ათასი კაცი ორშაბათიდან იმუშავებს.

პრაგა. ჩეხიის რეიჰსტრატის და სეიმის ყოფილ დეპუტატთა კრებამ რეზოლუცია გამოიტანა, რომლითაც მოითხოვენ კონსტიტუციონურ მართვა-გამგეობის დაბრუნებას და ეხლავე სეიმის არჩევნების დანიშნას.

ვენა. ხმებია, ჩეხელ დეპუტატების კრებაზე უთანხმოება იყო ახალგაზრდა ჩეხებსა და სეიმის დეპუტატებ შორისო. ახალგაზრდა ჩეხები მოითხოვდნენ კრებას გადაეწყვიტა საკითხი იმის თაობაზე, რომ კრების წევრები თანახმანი არიან მოლაპარაკება განაგრძონ.

რუსეთი.

პეტერბურგი. დაიჭირეს მე-125 ნომერი „სევერნაია პრავდა“-სი.

რიგა. ორენბურგიდან იუწყებიან: ზღვაში დაიღუპნენ რედაქტორ-გამომცემელი და თანამშრომელი ესტონურ გაზეთისა, რომელნიც დროს გასატარებლად იყვნენ წასულნი.

გაფიცვები დასრულდა. განაახლეს მუშაობა ტექსტილის ქარხანაში, თუჯის ჩამომსხმელ ქარხანაში, სირიუსში ძველ პირობებში და სტროზდინგოფის ფართლიულობის მაღაზიაში. მუშაობას შეუდგა 1500 ნავთსადგურის მუშა, რომელთაც 20%-ით გაუდიდეს ჯამაგირიო.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროში შეტანილია ანგარიში განსაკუთრებული კანცელარიის საკრედიტო ნაწილისა. შემოსავალი ნაანგარიშევია 63,482,730 მ. გასავალი 23.084.706 მ. ამასთან შესამჩნევად გაძლიერებულ იქმნება კრედიტი სარევიზიო საქმისთვის, რადგან საკრედიტო დაწესებულებებში შესამჩნევად გაძლიერებულია ბოროტმოქმედება. პროცენტებით შემოსავალი იმ ფულისაგან, რომელიც საზღვარ-გარეთელ ბანკებში ინახება, უდრის 5,500,000 მ. გასულ წელთან შედარებით ნაკლები, 1,500,000 მ. რადგან გადაწყვეტილია შემცირონ თანხა საზღვარ-გარედ რომ ინახება. სარგებელი საკრედიტო კანცელარიის უცხო ქვეყნის განყოფილებებისა აგრეთვე შემცირებულია 400,000 მ. რადგან ამ თანხის შემცირებაც არის გადაწყვეტილი.

ხარბინი. მულინის სადგურის ახლო ხუნხუზები თავს დაესხნენ და გაჰფანტეს მეტივე მუშები. ჩინეთის აღმოსავლეთის რკინის გზის მოიჯარადრეს ფულსა სთხოვენ.

ტუაპსე. დიდი ნიაღვარის გამო დაიღუპა ბევრი პირუტყვი. არის ადამიანის მსხვერპლიც. ადიდებულმა ტუაპსინკამ და პაუკმა გააფუჭეს რკინის გზის შენობები.

ნოვოროსიისკი. დიდი წვიმების გამო ძლიერ გაფუჭებულია ბაღები და ნათესი. ბევრი წვრილი და მსხვილფეხა საქონელი დაიღუპა. ადამიანის მსხვერპლიც არის.

მოსკოვი. დაიჭირეს მეექვსე ნომერი მუშათა გაზეთის: „ჩვენი გზა“.

კიევი. ცეცხლის მქრობელ და დამზღვევ საოლქო ერობათა კრებამ დაადგინა, კომერციულ ინსტიტუტთან და უმაღლეს სატეხნიკო სკოლებთან დაარსებულ იქმნას სპეციალური სადამზღვევო კურსები, ხოლო იმ პირობით, რომ კურსებზე ერობათა მოსამსახურეებს იღებდნენ.

პეტერბურგი. მიწად-მომწყობი კომისიის გამოანგარიშებით მიწის მოსაწყობი საქმეები 47 გუბერნიაში 1913 წელს დაიჭერს 9,822,201 დესეტინას. ამათში არ შედის საგლეხო ბანკის მიწები და „ინოროდცების“ გასამიჯნავი ადგილები სტავროპოლის გუბერნიაში.

კიევის გუბერნიაში, ზვენიგოროდის მაზრაში ხოლერისაგან გარდაიცვალა ხერსონიდან აქ ჩამოსული 1 კაცი.

ბალტიის გემების საალმშენებლოში დაამთავრეს დიდი ორიგინალური დირიჟაბლი, რომელიც ყველა სხვა რუსეთის დირიჟაბლებზე დიდი არის.

პეტერბურგი. დაიჭირეს მე-26 ნომერი: „სევერნაია პრავდა“-სი.

კიევი. გაიხსნა სოფლის მეურნეთა კრება.

გაიხსნა სრულიად რუსეთის მეფუტკრეთა კრება.

მარიინსკი. შაბათ ღამეს მარიინსკის ციხეში ტუსაღებმა დაახრჩეს ციხის სამი ზედამხედველი. მკვლელები ოთხი ტუსაღი გაიქცა.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! სოფ. კასპში ამ წლის 11 აგვისტოს ვასო რატიშვილმა გამართა წარმოდგენა (წარმოდგენილ იქნა „არსენა“). წარმოდგენის წმინდა შემოსავალი 11 მანეთი კასპში განზრახულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ფონდს გადაეცა. ამავე ფონდისთვის დღემდე შეგროვილია 40 მანეთი სასოფლო ბანკისაგან გადმოცემული და ხუთი მანეთი იოსებ ა. ისკანდაროვისაგან შემოწირული სულ 56 მანეთი.

რის გამოც თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დამაარსებელნი უღრმეს მადლობას უძღვნიან როგორც ხსენებულ შემომწირველთ ისე ვექილს გ. თ. ჟორდანიას, გ. ჯობაურს, დ. პარკაძეს და მასწავლებელთ ვ. ი. ქარუმიძეს, ს. ნ. ხიმშიაშვილს, თ. ა. დარეჯანაშვილს და ქარუმიძისას და საერთოდ ყველა მათ, ვინც თავისი პირადი მონაწილეობით თუ სხვა რაიმე დახმარებით ხელი შეუწყეს ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს.

მონდობილობით **მღ. სამსონ თამასიძე.**

არჩილ ჯორჯაძის ძეგლისათვის

მ. ხ. გ. რედაქტორო! ექვს აგვისტოს სოფ. წაღვერში გაიმართა კონცერტი არჩილ ჯორჯაძის ფონდის გასაძლიერებლად. ბილეთები გაიყიდა 88 მ. და 65 კ. შემოსწირეს გ. კამპანიონმა და თ. დოლიძემ ორორი მანეთი—სულ 92 მ. 65 კაპ.

ხარჯი: თეატრის გამგეს 16 მ. (15 მ. ქირა, 50 კ. ბილეთების წიგნი და 50 კ. მოსამსახურეს) გ. ინაშვილს გზის ფული 10 მ., დეპეშების გაგზავნ-გამოგზავნა, მარკები და სხვა წვრილი ხარჯი 4 მ. 92 კ სულ 30 მ. 92 კ. ხარჯს გარეშე დარჩა 61 მ. 73 კ. რომელსაც ამასთანავე გაახლებთ და უმორჩილესადა გთხოვთ ეს ანგარიში თქვენი პატივცემული გაზეთის მახლობელ ნომერში დაბეჭდოთ.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ქ.ქ. ბრილინსკისა, კუზიკოვა, კარგანოვა გ.გ. ინაევი და ოსეპსონი, რომელთაც თავისი მოხდენილი სიმღერით და დაკვრით მსმენელნი დაატკბეს გ.გ. კომპანიონი და თ. დოლიძე შემოწირულობისთვის და საზოგადოება, რომელიც თანაგრძნობით მოეპყრა კონცერტს. კ. თ.

არჩილ ჯორჯაძის ფონდის სასარგებლოდ მოგროვილი ივანე ლორთქიფანიძის მიერ ქ. ხარკოვში.

შემდეგი პირებისაგან: მეკა მაჩაბელი 1 მ., ტ. სიხარულიძე 1 მან., ნ. ლალი 1 მ., ნიკ. ორლოვსკი 1 მან., ნიკ. ლორთქიფანიძე 1 მ., ალ. ნათიშვილი 1 მ., ვ. პ. მოსეშვილი 3 მ., ლ. ნაზაროვი 1 მ., ივ. ლორთქიფანიძე 1 მ., მ. ლორთქიფანიძისა 1 მან. სულ ცამეტი მან. (13 მ.)

ბ-ნო რედაქტორო! ამასთანავე გაახლებთ 15 მ., შეგროვილს ს. ყვარელში, დაუვიწყარ არ. ჯორჯაძის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად.

შემომწირველთა სია: თითო მანეთი: მინა მარუაშვილმა, ნოშრ. ჯაფარიძემ, კ. მათიაშვილმა, ლონგ. ზაუტაშვილმა, ვასო ხარიტონაშვილმა, ბეს. შავგულიძემ, გიორგი თომაევმა და გ. იმერლიშვილმა. ათ-ათი შაური: ვ. ჯაფარიძემ, კოტემ, სოსო სეფაშვილმა, ვალ. ტაბლიაშვილმა, მღ. ასაბაშვილმა, ნინა ჯაფარიძემ, ს. მათიკაშვილმა, ზაქ. ოდიშელიძემ, თამარა მარუაშვილმა, [illegible]შვილმა, სოფიო გერმანიშვილმა, მ. ცქიტიშვილმა, მ. ჭავჭავაძისამ და ვ. მაყაშვილმა.

პატივისცემით **ხარიტონაშვილი.**

გ. რ. უმორჩილესად გთხოვთ შემდეგი შემოწირულება გამოაცხადოთ თქვენის პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში. ამასთანავე გაახლებთ სადგურ უგოლნიაში შეგროვილს ქართველების მიერ 22 მანეთს. დიდებული მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად. შემომწირველთა სია: სერაფიონ ვარდანიძემ 3 მ., ისიდორე ქანტურიშვილმა 3 მან., ნიკო ჭავჭანიძემ 2 მან., ქართველი ლეკი გამზა ამიროვმა 2 მან., იოსება ნორაკიძემ 2 მან., თითო მანეთი: ნესტორა ბებიაშვილმა, კოწია ყიფიანმა, პეტრე ისაევმა, გიორგი წულიკიძემ, სარქის გალაიანცმა, ილარიონ მახარაძემ, იოსება ალანიამ, სოლომონ წვერავამ, ლევან კინწურაშვილმა, ლავრენტი აბაშიძემ. სულ 22 მან.

პატივისცემით **სერაფიონ ვარდანიძე.**

რედაქციამ მიიღო შემდეგ პირთაგან შემოწირულება: ნინო ციციშვილისაგან 1 მ., თამარ ვაჩნაძისაგან 2 მ., იაკ. ს. ზედგინიძისაგან 10 მან., ალფრედ დავითულიანისაგან 2 მ., ვლ. ყიფიანისაგან 11 მ. ხარკოვში ლორთქიფანიძის მიერ შეგროვილი 13 მ., წაღვერში გამართულ წარმოდგენიდან 61 მ. 73 კ., ქუთაისიდან ალექ. ჯანელიძესაგან 33 მ. 50 კ., ხარიტონიშვილის მიერ შეგროვილი 15 მ., ექ. პოლიკ ჩხიკიშვილისაგან 10 მ., უგოლნიაში სერაფიონ ვარდანიძის მიერ შეგროვილი 22 მ., დ. ხონში ქელიძის მიერ შეგროვილი 27 მ. 60 კ., ესენტუკში ჩხეიძის მიერ შეგროვილი 35 მ.

სულ დღემდე რედაქციამ მიიღო 1082 მ. 61 კ.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე

ვკისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, **„შრომის“** სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიასი. ტელეფ. 9-25.

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

მასწავლებელი
სიმ. ა. გრიაზნოვი
ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასსისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე, სააფთიაქო შეგირდად და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.

ადრესი: ვერა, იზმაილოვის მისახვევი სახ. 6. ბინა 8. 584.

საჭიროა
პატარა ოჯახში შუახნის ქართველი დედაკაცი. ნახვა შეიძლება: დილით, „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში 9—3 საათამდე და საღამოთი თუმანოვის პირველი ქ., № 19, 4—7 საათამდე **ნ. ნეიმანთან.** 1459

ექიმ ნაგახარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნაგახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ქ დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნაგახარდიანი.** 1004

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

სასარგებლო რჩევა
მოწაფეებს!
ს. ი. მაჭინიანცის
მაღაზიისაგან, ნიკოლაევის (ვორონცოვის) ხიდი. თუ თქვენთვის დრო ძვირფასია და იაფადაც გსურთ შეიძინოთ ყველა საჭირო ნივთები (გარდა წიგნებისა), მიმართეთ ჩემს მაღაზიას, სადაც თქვენ იპოვით ყველაფერს, მიუცილებელს, რადგან დიდი ხნის პრაქტიკა ამ საქმეში თავმდებია იმისა, რომ ყველაფერს სწორედ, კარგად და ნაღდად მიიღებთ, რაიც კი თქვენთვის საჭიროა ამ სამოსწავლო სეზონში. 596

უფლებიანი სავაჭრო სკოლა **უფლებიანი**
და საბუჰგალტერო კურსები
ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა.
მისაღები და დამატებითი გამოცდა **28 და 31 აგვისტოს.** მისაღებთა რიცხვი განსაზღვრულია (ერთ კლასში არა უმეტეს 24 შეგირდისა). მეცადინეობის დასაწყისი სკოლაში 24 სექტემბერს, კურსებზე 16 სექტემბერს. **მიხეილის პროს. № 53.** 562

საბუჰგალტრო კურსები
გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა
ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

„ქართველ მწერლებს“
ვინც გამოიწერს წერა-კითხვის საზოგადოების
მაღაზიიდან დაეთმობა 20% 1446

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
მმ.
ძმებ ველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სულდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა |ქიტკა|
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და
კონსერვები.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საკომერციო ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოიანისა,
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. № 976.
სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:
საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 **ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424

კომერციულ ცოდნათა კურსებზე **ტ. მ. ფილოიანისა** ახალი მეთოდით ასწავლიან
ფრანგულის, გერმანულის და ინგლისურ
ენათა თავისუფალ კითხვას, წერას და ლაპარაკს სულ მოკლე დროში თეორეტიულისა და პრაქტიკული მეცადინეობის საშუალებით. დაწვრილებითი ცნობების მიღება კურსების კანცელარიაში შეიძლება დილის 10—12 ს. და საღამოს 4—7 საათ. მიხეილის პროსპ. № 24, ტელეფონი № 976. 1458

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:

გ. რათაშვილის ლექსები	40 კ.
ბაჩანა. დიაკვნიანი	20 „
ბესიკი. ლექსები, სიტყ.-კაზ. გამოც	1 მ.
განდეგილი. ლექსები,	50 „
გრიშაშვილი ოცნების კოცნა,	10 „
გურამიშვილი. დავითიანი	1 მ.
დუტუ მეგრელი,	70 „
„ მწარე ფიქრები,	20 „
ევდოშვილი.	60 „
ერისთავი რაფ., ტ. 1-ლი,	1 მ.
„ ტ. 2-ე,	40 „
ვეფხის ტყაოსანი,	60 „
ვაჟა-ფშაველა,	1 მ.
„ ახუნდი,	5 „
„ ბახტრიონი,	20 „
ორბელიანი გრ. ლექსები,	20 „
„ ვახტანგი,	60 „
„ ნინო,	30 „
რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა ერეკლე მეფისა,	15 „
სილოვანი. ჩემი აზრი და ფიქრები № 1,	20 „
„ ცხოვრ სურათები, № 2,	20 „
„ აღსარება, № 3,	5 „
„ ლექსები 1879—1891	50 „
„ სიმები,	5 „
ქართ. პოეტ. რჩეულ. ლექსები,	25 „
ჩიხრუხაძე. ქნარი,	20 „
შანშიაშვილი. შვების თავადი,	60 „
„ ქება-ქებათა და სულამიტ.	10 „
ცის-სარტყელა, სალიტ. კრებული,	15 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**
საბუჰგალტრო კურსები
ნ. ვ. აბრაამიანისა
(დაარსებულია 1895 წ.)
„სავაჭრო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.
ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე სწავლა 4 თვე გაგრძელდება.**
მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბირს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუჰგალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანითბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.
ატესტატები სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისათვის და ანგარიშისათვის.
კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე. და საღამოს 5—7 საათამდე.
კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუჰგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.
პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1433.

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი
ბუჰგალტერიის პრაქტიკული კურსები
ი. თ. პალატნიკოვისა.
თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღჰალტერიისა და კორესპონ. სამუშაოდ. კურსებზე შესულსაფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღჰალტ. ჩვეულებ. და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: პაზოგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორეს., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ საწერ მანქანაზე. 9) რუსული ენა, 10) ანგარიში, 10) **უცხო ენები:** ფრანგ. და გერმან.. 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღჰალტ. ჯგუფში იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.